

კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება

განაცხადი კონფიდენციალობის შესახებ

eCapital-ი მადლობას გიხდით ამ ვებგვერდზე (შემდგომში “ვებგვერდი”) შემობრძანებისთვის და ჩვენი მომსახურებებით და პროდუქტებით დაინტერესებისთვის.

ჩვენი პრინციპები კონფიდენციალობასთან დაკავშირებით

კლიენტის პირადი საიდუმლოების პატივისცემა და დაცვა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ჩვენი საქმიანობისთვის. კონფიდენციალობასთან დაკავშირებით ჩვენი პრინციპების გამოქვეყნებით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ კლიენტებს უკეთ ეცოდინებათ, თუ როგორ უზრუნველყოფთ კლიენტის ინფორმაციის კონფიდენციალობას და უსაფრთხოებას და ამავე დროს ვიყენებთ ამ ინფორმაციას მომსახურებებისა და პროდუქტების მიწოდებისთვის.

ჩვენ შეიძლება გავუმჯდავნოთ და გადავცეთ ამ ვებგვერდზე შეტანილი ნებისმიერი ინფორმაცია: ნებისმიერ პირს ან ორგანიზაციას კლიენტის თანხმობით; ან როდესაც ჩვენ კანონმდებლობით გვაქვს უფლება ან ვალდებული ვართ ანდა გვაქვს ნებართვა ან იძულებული ვართ გავამჯდავნოთ ეს ინფორმაცია. ჩვენ ასევე შეიძლება გადავცეთ ან მივაწოდოთ ინფორმაცია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ან ნებისმიერი ქვეყნის გავლით, როგორც ჩვენ ჩავთვლით საჭიროდ ან მიზანშეწონილად.

- **ჩვენ ვიცავთ კლიენტის ინფორმაციას**

ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას მასზე, რომ ჩვენ მთელი სერიოზულობით დავიცავთ ყველა კლიენტის კონფიდენციალობას და საიდუმლოებას. ჩვენ გვაქვს ფიზიკური, ელექტრონული და პროცედურული უსაფრთხოების გარანტიები, რომლებიც შესაბამისობაშია მოქმედ სამართლებრივ ნორმებთან, რათა დავიცვათ და შევინარჩუნოთ კლიენტის ინფორმაცია არაუფლებამოსილი წვდომისგან, გამოყენებისგან, შეცვლისგან ან განადგურებისგან. ჩვენ შემუშავებული გვაქვს შიდა პოლიტიკა და პროცედურები იმისათვის, რომ დავიცვათ კლიენტის ინფორმაციის კონფიდენციალობა და შევასრულოთ შესაბამისი წესებისა და ნორმების მოთხოვნები. ჩვენი თანამშრომლები ვალდებული არიან დაემორჩილონ ამ პოლიტიკას, პროცედურებს, წესებსა და ნორმებს.

- **ჩვენ ვცდილობთ შევავროვოთ, გამოვიყენოთ და შევინახოთ კლიენტის ინფორმაცია მხოლოდ სათანადო მიზნებისთვის**

ჩვენ მიერ კლიენტის ინფორმაციის შეგროვება, გამოყენება და შენახვა შეზღუდულია მხოლოდ იმ დონემდე, რაც ჩვენი აზრით აუცილებელია საუკეთესო მომსახურების მიწოდებისათვის, ჩვენი საქმიანობის წარმართვისათვის, რისკების მართვისთვის, ჩვენი მომსახურებებისა და

პროდუქტების გაყიდვისთვის და შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებისათვის.

- კლიენტის ინფორმაციას ჩვენ ვაწვდით აფილირებულ პირებს და სხვებს, როდესაც ჩვენი აზრით ეს გააუმჯობესებს კლიენტებისთვის მომსახურებების და პროდუქტების მიწოდებას ან სამართლებრივი და რუტინული ბიზნეს მოსაზრებებით

ჩვენ ვავრცელებთ კლიენტის ინფორმაციას ჩვენ ფილიალებში და ორგანიზაციულ განყოფილებებში, როდესაც ჩვენი აზრით ეს გააუმჯობესებს კლიენტებისთვის მომსახურებები მიწოდებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გავრცელება შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან, შესაბამის კონფიდენციალობის ხელშეკრულებებთან, ჩვენ პოლიტიკასთან და პრაქტიკასთან, ანდა თუ კლიენტმა თანხმობა გამოთქვა ასეთ გავრცელებაზე.

ჩვენ შეიძლება გავამჟღავნოთ კლიენტების შესახებ ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაცია კანონით ნებადართულ შემთხვევებში. მაგალითად, ჩვენ შეიძლება ინფორმაცია მივაწოდოთ ხელისუფლების ორგანოებს და სამართალდამცავ პირებს, რომელთა განსჯადობაც ჩვენზე ვრცელდება ან თუ ჩვენ იძულებული ვართ ასე ვიმოქმედოთ შესაბამისი კანონმდებლობის ძალით ან მივაწოდოთ ინფორმაცია თაღლითობის თავიდან ასაცილებლად.

დროდადრო ჩვენ ვდებთ ხელშეკრულებებს სხვა კომპანიებთან ჩვენთვის გარკვეული მომსახურებების მიწოდების თაობაზე ან იმისათვის, რომ კლიენტებმა ისარგებლონ ჩვენი მომსახურებებით და პროდუქტებით. ამ ხელშეკრულებების თანახმად, აღნიშნულმა კომპანიებმა შეიძლება მიიღონ ინფორმაცია კლიენტების შესახებ, მაგრამ ისინი ვალდებული არიან დაიცვან ეს ინფორმაცია და გამოიყენონ იგი მხოლოდ ჩვენს მიერ განსაზღვრული მიზნებით.

თქვენ მიერ ვებგვერდზე შესვლა ნიშნავს თქვენ თანხმობას წინამდებარე კონფიდენციალობის განაცხადის (შემდგომში "განაცხადი") პირობებზე

თუ თქვენ არ ეთანხმებით ამ განაცხადის პირობებს, მაშინ ნუ გადახვალთ ვებგვერდის სხვა გვერდებზე. ამ განაცხადში დროდადრო შეიძლება შევიდეს ცვლილებები. ამიტომ გთხოვთ რეგულარულად გაეცნოთ მის პირობებს.

რა მიზნებს ისახავს და რა არის ამ განაცხადის მოქმედების სფერო?

eCapital-ი და აფილირებული პირები ვალდებულებას იღებენ, დაიცვან პირადი ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვავროვებთ ამ ვებგვერდით მოსარგებლე პირებისგან. აქედან გამომდინარე, ჩვენ შევიძლება შევიძინოთ წინამდებარე განაცხადი, რომ განგვემარტა, თუ როგორი ტიპის ინფორმაციას და რა საშუალებით შევაგვროვებთ ამ ვებგვერდის მომხმარებლებისგან, ასევე, თუ რა მიზნით შეაგროვებს, გადასცემს ან გაამჟღავნებს eCapital-ი ამ მონაცემებს. eCapital-ი ასევე აღნიშნავს იმ წინდახედულობის ზომებს, რომლებიც მიღებული აქვს თქვენ მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ეს განაცხადი ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელსაც eCapital-ი მოიპოვებს თქვენ მიერ ამ ვებგვერდით სარგებლობის შედეგად. განაცხადი არ ვრცელდება ნებისმიერ ისეთ ინტერნეტ ვებგვერდზე, რომლის ბმულსაც ეს ვებგვერდი შეიცავს, მაგრამ კონტროლირდება მესამე პირების მიერ, რომლებიც არ არიან ავთენტიციური eCapital-თან (შემდგომში “მესამე პირების საიტები”). გთხოვთ გაეცნოთ მესამე პირების საიტების კონფიდენციალობის განაცხადებს, რადგან eCapital-ი არ არის პასუხისმგებელი და არ აკონტროლებს მესამე პირების საიტების შემცველობას ან კონფიდენციალობის პოლიტიკას.

ამ განაცხადის პირობები ექვემდებარება პასუხისმგებლობის შეზღუდვის თაობაზე სხვა პირობებს ან ხელშეკრულების პირობებს, რომლებიც თქვენ დადებული გაქვთ eCapital-თან, როგორცაა განაცხადები და შეტყობინებები კლიენტის კონფიდენციალობის შესახებ და სავალდებულო წესები და კანონმდებლობა.

რა ტიპის ინფორმაციას ვამუშავებთ

ინფორმაცია ვებგვერდზე ნავიგაციასთან დაკავშირებით ამ ვებგვერდის ფუნქციონირებისთვის გამოყენებული საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სისტემები და კომპიუტერული პროგრამები, ჩვეულებრივი ფუნქციონირებისას, აგროვებენ სხვადასხვა პერსონალურ მონაცემს. აღნიშნული მონაცემები არის ის მონაცემები, რომლებიც ჩვეულებრივ გადაეცემა ხოლმე (TCP/IP პროტოკოლზე დაფუძნებული) ინტერნეტით სარგებლობისას.

ეს ინფორმაცია არ გროვდება შესაბამის პირებზე მონაცემთა ბაზის შესაქმნელად, მაგრამ, მისი ხასიათიდან გამომდინარე, მესამე პირების მიერ მონაცემთა დამუშავებისა და დახარისხების გზით, შესაძლებელია მისი მეშვეობით მოხდეს ინტერნეტ გვერდების მომნახულებელი მომხმარებლების იდენტიფიცირება.

ამ ტიპის ინფორმაცია მოიცავს ვებგვერდზე შემსვლელი მომხმარებლების კომპიუტერების ინტერნეტ პროტოკოლის მისამართებს (IP address) და დომენების სახელწოდებებს, მოთხოვნილი რესურსების მისამართებს (რესურსების იდენტიფიცირების ერთიან ფორმატში – URI ფორმატი), მოთხოვნის დროს, მეთოდი რომლის მეშვეობითაც ხდება მოთხოვნის მიწოდება სერვერისთვის, პასუხად მიღებული ფაილის ზომა, სერვერის მიერ მოწოდებული პასუხის მდგომარეობის ამსახველი ციფრული კოდი (დასრულებულია წარმატებით, შეცდომებით, ა.შ.) და სხვა პარამეტრები, რომლებიც დაკავშირებულია ოპერაციულ სისტემასთან და მომხმარებლის საინფორმაციო ტექნოლოგიებთან. ეს მონაცემები შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ ანონიმური სტატისტიკური ინფორმაციის მიზნებისთვის, რაც შეეხება ვებგვერდის გამოყენებას და ვებგვერდის სწორი ფუნქციონირებისთვის აუცილებელ კონტროლს.

გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნული მონაცემები შეიძლება გამოყენებული იქნას პირების დასადგენად, როდესაც მიმდინარეობს გამოძიება ქმედებებისა, რომლებიც მიიჩნევა კომპიუტერულ დანაშაულად და რომლებიც საფრთხეს უქმნის ვებგვერდს ან პროცესორის

სტრუქტურას ან სხვა დაკავშირებულ ან ბმულებით გადასასვლელ ვებგვერდებს. თუ ასეთი გამოძიება არ მიმდინარეობს, ინტერნეტ ქსელთან კავშირის ამსახველი მონაცემები ნადგურდება რამდენიმე დღეში.

მომხმარებლის მიერ ნებაყოფლობით მიწოდებული მონაცემები

როდესაც მოთხოვნილია ელექტრონული შეტყობინების გაგზავნა eCapital-ის მისამართების ნაწილში მითითებულ მისამართებზე, მოთხოვნის შესასრულებლად აუცილებელია მომთხოვნის ზოგიერთი პერსონალური ინფორმაციის მოპოვება, მათ შორის მომთხოვნის ელექტრონული მისამართის.

ცალკეული შეტყობინებები შემაჯამებელი სახით მუდმივად შეიტანება ან აისახება იმ ვებგვერდის გვერდებზე, რომელიც სთავაზობს ცალკეულ მომსახურებებს, რომელსაც მომხმარებელი იყენებს.

სერვერის მიერ შექმნილი მოკლე საინფორმაციო ფაილები (cookies)

პირადი ხასიათის ინფორმაციის გადასაცემად ქუჩი არ გამოიყენება. ე.წ. მუდმივი ქუჩი საერთოდ არ გამოიყენება (მუდმივი ქუჩის მეშვეობით ხდება მომხმარებლის საქმიანობის დაფიქსირება).

ე.წ. სესიის ქუჩის გამოყენება (რომელიც დროებით ინახება მომხმარებლის კომპიუტერში და ჩვეულებრივ თავისით იშლება ნავიგაციის პროგრამის დახურვასთან ერთად) ხდება მხოლოდ სესიის საიდენტიფიკაციო მონაცემების გადასაცემად (რომლებიც შედგება eCapital-ის ვებსერვერის მიერ წარმოქმნილი შემთხვევითი ციფრებისგან), რაც აუცილებელია ვებგვერდის უსაფრთხოდ და ეფექტურად სარგებლობისთვის.

eCapital-ის ვებგვერდის მიერ გამოყენებული სესიის ქუჩი გამორიცხავს სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიური პროცედურების გამოყენებას, რომლებიც შესაძლოა საფრთხეს წარმოადგენდნენ მომხმარებლის კონფიდენციალური ნავიგაციისთვის. ეს ქუჩი არ აგროვებს მომხმარებლის ამომცნობ პირად მონაცემებს.

პირადი მონაცემების გადაცემის ფაკულტატური ხასიათი

გარდა ზემოხსენებული სანავიგაციო მონაცემებისა, მომხმარებლებმა შეიძლება თავიანთი პირადი ინფორმაცია შეიტანონ ვებგვერდზე ცალკეული სერვისების განყოფილებებში განთავსებულ ელექტრონული მოთხოვნის ფორმებში. გაითვალისწინეთ, რომ ამ მონაცემების შეტანის გარეშე თქვენი მოთხოვნების დამუშავება შესაძლოა შეუძლებელი აღმოჩნდეს.

ვის ვუმჯღავნებთ ვებგვერდზე შეგროვებულ ინფორმაციას?

თქვენი ინფორმაცია eCapital-მა შეიძლება გაუმჯღავნოს მის თანამშრომლებს, წარმომადგენლებს და აფილირებულ პირებს თქვენი საცხოვრებელი ქვეყნის შიგნით ან გარეთ, eCapital-ის მომსახურებების შესრულების მიზნით. ჩვენი თანამშრომლები, წარმომადგენლები, აფილირებული პირები და მომწოდებლები, რომელთაც აქვთ წვდომა ვებგვერდზე შეგროვებულ პირად მონაცემებზე, ვალდებული არიან დაიცვან კონფიდენციალობის პირობა.

პირადი მონაცემების შეგნებულად გადაცემისას, ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ჩვენი მოქმედება შესაბამისობაში იყოს მოქმედ კანონმდებლობასთან, მაგალითად, ისეთი ხელშეკრულებების დადების გზით, რომლებიც ითვალისწინებენ თქვენი ინფორმაციის მიმღები პირების მიერ ამ ინფორმაციის სათანადო დონეზე დაცვის ვალდებულებას.

ჩვენ ასევე შეიძლება თქვენი ინფორმაცია გაუმჯღავნოთ სახელმწიფო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, ხელისუფლების ორგანოებს ან სხვა პირებს მოქმედი წესების, ბრძანებების, სასამართლო შეტყობინებების, ოფიციალური მოთხოვნების ან სხვა მსგავსი ნორმების საფუძველზე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნის ან ნებართვის ფარგლებში.

დამუშავების პროცედურები და უსაფრთხოების ღონისძიებები

პირადი მონაცემები მუშავდება ავტომატიზებული ან არაავტომატიზებული აღჭურვილობით. მისი დამუშავების ხანგრძლივობა განისაზღვრება მხოლოდ იმ დროით, რაც აუცილებელია იმ სამუშაოს შესასრულებლად, რისთვისაც ხდება აღნიშნული მონაცემების შეგროვება. უზრუნველყოფილია კონკრეტულ უსაფრთხოების ზომებთან შესაბამისობა იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული მონაცემთა დაკარგვა, უკანონო ან არასწორი გამოყენება და არაუფლებამოსილი დაშვება. ცალკეული მომსახურებებისთვის განკუთვნილ ვებგვერდის განყოფილებებში, სადაც აუცილებელია მოსარგებლე მომხმარებლის მიერ პირადი მონაცემების შეტანა, ხდება მონაცემთა დაშიფვრა უსაფრთხო მიერთების პროტოკოლად (Secure Sockets Layer–SSL) წოდებული უსაფრთხოების ტექნოლოგიის გამოყენებით. SSL ტექნოლოგია კოდებად გარდაქმნის ინფორმაციას მის ინტერნეტში გაგზავნამდე, მომხმარებლის კომპიუტერსა და ფორტუნა-ის სისტემებს შორის. შედეგად ეს ინფორმაცია გაუგებარი ხდება არაუფლებამოსილი პირებისთვის და ამ გზით ხდება გადაცემული ინფორმაციის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა. SSL ტექნოლოგიის გამოყენებისთვის აუცილებელია, მომხმარებლის მიერ გამოყენებული ინტერნეტში სანავიგაციო პროგრამა (browser) იძლეოდეს მინიმუმ 128 ბიტანი უსაფრთხოების გასაღებების “გაცვლის” შესაძლებლობას, რათა უზრუნველყოფილი იქნას უსაფრთხო დაკავშირება ზემოაღნიშნული წესით eCapital-ის სისტემებთან.

რა უსაფრთხოების ზომებია მიღებული თქვენგან მიღებული ინფორმაციის დასაცავად?

eCapital-ი იყენებს ტექნიკურ და ორგანიზაციულ უსაფრთხოების ზომებს, რათა შეძლებისდაგვარად გონივრულად დაიცვას პირადი მონაცემები არაუფლებამოსილი წვდომისგან, შემთხვევითი ან განზრახი მანიპულაციებისგან, დაკარგვის და განადგურებისგან.

რა უნდა ვიცოდეთ ინტერნეტის მეშვეობით მონაცემთა გადაგზავნის შესახებ?

ზოგადად, ინტერნეტი არ ითვლება უსაფრთხო გარემოდ, ხოლო ინტერნეტის მეშვეობით გადაცემულ ინფორმაციაზე შეიძლება წვდომა ჰქონდეს არაუფლებამოსილ მესამე პირებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ინფორმაციის გამჟღავნება, შინაარსის შეცვლა ან ტექნიკური დეფექტი. მაშინაც კი, როდესაც გამგზავნიცა და მიმღებიც ერთი და იგივე ქვეყანაში იმყოფებიან, ინტერნეტით გაგზავნილი ინფორმაცია შეიძლება გადაიცეს საერთაშორისო საზღვრების გავლით და გაიაროს იმ ქვეყანაში, სადაც მონაცემთა უსაფრთხოების დაცვა უფრო დაბალ დონეზეა თქვენ საცხოვრებელ ქვეყანასთან შედარებით.

გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ არ ვიღებთ არანაირ ვალდებულებას ან პასუხისმგებლობას თქვენი ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, როდესაც ის ინტერნეტის მეშვეობით გადაეცემა eCapital-ს. თქვენი კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, შეგახსენებთ, რომ თქვენ შეგიძლიათ, თქვენი შეხედულებისამებრ, აირჩიოთ eCapital-თან კომუნიკაციის სხვა საშუალება.

არასრულწლოვნები

eCapital-ი არ მოქმედებს განზრახ მისი ვებგვერდის გამოყენებით არასრულწლოვნებისგან ან 18 წლამდე ასაკის პირებისგან ინფორმაციის მიღების მიზნით.

კონფიდენციალობის განაცხადის ვარიანტები

იმის გათვალისწინებით, რომ, როდესაც საქმე ეხება ავტომატიზებულ კონტროლის მექანიზმებს, შეცდომები, დროში შეფერხებები და სხვა მისთანა არ არის გამორიცხული, ეს დოკუმენტი მიიჩნევა eCapital-ის ვებგვერდის “კონფიდენციალობის განაცხადად”. გაითვალისწინეთ, რომ დროდადრო მოხდება მისი განახლება (აღნიშნული განაცხადის სხვადასხვა ვარიანტი ყველა შემთხვევაში გახდება ხელმისაწვდომი).